№ 2710
ორშაბათი,
27 დეკემბერი

ცნობის ფურცელი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

№ 2710
ორშაბათი,
27 დეკემბერი

კნეინა მარიამ გიორგის ასული მაჩაბლისა შეილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგთ გადაცვალებას ძვირფას მეუღლის, აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა მე-13 პოლკის უფროსის, **პოლკოვნიკის**

თავად ივანე (ოქრო) ილიას ძის მაჩაბლისა

პორტ-არტურში მოკლულისა, და სთხოვენ მობძანდნენ პანაშვიდზე, რომელიც გადახდილი იქნება სამშაბათს, 28 დეკემბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი—12 საათზე. (2—424—2)

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი.
ოთხშაბათს, 29 დეკემბერს, ბენეფისი **ნ. პ. ჩხეიძისა.**
წარმოდგენილი იქნება თავ. სუმბათაშვილის პიესა
ლეგენდა 5 მოქმედებათ **ლალატი** თარგმ. კ. მესხის-მიერ.
დასაწყისი 8 საათზე. ადმინისტ. ამხანაგობისა. მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.**

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
ორშაბათს, 27 დეკემბერს 1904 წელს დილით იაფ-ფასიანი
წარმოდგენილი იქნება: **„ევგენი ონეგინი"** ოპერა 3 მოქმ. მუსიკა ჩაიკოვსკისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ტულლერი, ბუნაკოვა, მიხაილოვა, შიხუტსკაია, ბუნაკოვა; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, პოლუიანოვი, გალეცკი, ხალინსკი, ბაგროვი, მურატოვი.
საღამოთი **„სნეგუროჩკა"**, ოპერა 4 მოქ. მუს. რიმსკი-კორსაკოვისა.
მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი ნიკიტსკაია, დონსკაია, მიხაილოვა და სხ. ბ-ნნი სიკაჩინსკი, რიბაკოვი და სხ. კაპელმეისტერი მიკლაშევსკი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
გამგე ი. ა. კელლერი.

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 680** (0—195)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. **ბალარჯიშვილი.**—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

მ. გ. **მულინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. **კიმონტი.**—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ. და ხუთშაბათ.

ა. ნ. **დიასამიძე.**—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. **გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. **ქალი მ. ქ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

პ. ა. **ბეიერი.**—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

ლ. მ. **მონინი.**—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა, (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.

პ. ს. **მუსხელიშვილი.**—თვალისა—2—3 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

გრ. ვ. **ხოგოლევსკი.**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით 1—2 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. **ხოგოლევსკი.**—ხირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ხ. **დავიდოვი.**—შინაგანი და ბავშვებისა ყოველ დღე გარდა კვირისა.—5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში დირს სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

კბილებს
ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვუსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქუჩა № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—417—2)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი
ა. ნ. თოთრაძე
სუდებნაია, სახლი № 24. აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—29)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
მიიღებს ბავშვების და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე 12—1. და საღამოთი 6—8 საათამდე. ელისაბედისქუჩა, № 160. (თვ.—9)

ექიმი
ი. ე. გამბურგერი
გრიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიოგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარისა და სხვ. (30—365—29

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
კორლანოვის ქ., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 792.

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი დივნისა № 12. „კრუჟოკის" გვერდით. (—6.—11)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—10)

ექიმი
გ. ა. გედალინი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის კანის და საშარდის, ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე.
გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. სახლი მარტიროსიანცის № 15. (30—9)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
იღებს ყოველ გვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 30. მანველოვის სახლში. (30—399—19)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს. დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—30)

ქ. ბათუმში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი
იღებს ავადმყოფებს (შინაგანი, ვენერიული და საბებიაო) დილის 9—12 საათ. საღ. 4—6, სმეკალოვის ქუჩა, ვარძელოვის სახლი. (30—0101—4).

მომავალ წლის იანვრის 9-ს ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში, თორმეტ საათზე, დანიშნულია **პირველი საგანგებო კრება** ტფილისის **ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების** დამფუძნებელ წევრთა შემდეგ საგნების განსახილველად:

1. საზოგადოების წევრთა არჩევანი.
2. საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი.
3. დადგენა საწევრო გადასახადის რაოდენობისა. (5—5)

ახალი ამბავი

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარმა სასანიტარო კომისიამ დაადგინა 24 დეკემბერს, რადგან თითქმის თვეზე მეტია მატარებლებში **ხოლერიანი ავადმყოფი** აღარ აღმოჩნდა და ბაქოს, აჯიქაბულს, განჯას, ერევანს და ყარსშიც ძალიან იკლო ხოლერამ, სახალხო მატარებლები აღარსად გასინჯონ რკინის გზის ექიმებმა. მხოლოდ ფერშლებსა და კონდუქტორებს ევალებათ მატარებლების ყურის გდება. თუ ვინიცობა საეჭვო ავადმყოფი აღმოჩნდა მატარებელში, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ რკინის გზის ექიმს.

◆ როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, კარის მინისტრად ნამყოფს, სახელმწიფო საბჭოს წევრს **გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს ახალ თანამდებობას აძლევენ.**

◆ „კავ."-ის სიტყვით, ჟურნალ „მოგზაურის" რედაქტორ-გამომცემელს **შუამდგომლობა ალუძრავს**, ნება მიეცეს ყოველ თვიური ჟურნალი ყოველ კვირეულად გადააკეთოს.

◆ ტფილისის სამხედრო საავადმყოფოს უფროსი ტიმოფეევი დაინიშნა **ტფილისის კომენდანტის** თანამდებობის აღმასრულებლად.

◆ ქურდამირს, უჯარას და სამტრედიაში გაიგზავნა საზამთრად მოწყობილი სასანიტარო (ხოლერიანთათვის) ვაგონები.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ჩრდილოეთ-კიკვანშანის აღება 5 დეკემბერს. 12—23 ნოემბერს გენ. ნოგიმ პორტ-არტურის ყველა უმთავრეს ფორტზე მიიტანა შტურმი; თუმცა აღებით მხოლოდ 203 მეტრიანი, ვისოკაია და სხვა გორები აიღო ციხის ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეს, მაგრამ ციხის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ ფორტებთანაც საკმაოდ გაიმარჯვა: ზოგ ფორტთან თხრილი ჩაიგდო ხელში, ზოგ ფორტთან კონტრ-ესკარპები (თხრილის გარე კედლები) აიღო. სხვათა შორის, ჩრდილოეთ-კიკვანშანის ფორტის თხრილი და კაპონირები (კაპონირები—ბეტონის შენობაა თხრილში, შიგ ჯარი დგას და ზარბაზნები და ტყვიის მტყორცნელები აწყვია) ჩაიგდო ხელში და მერე თითონ ფორტის აღებას შეუდგა. „ტაიმს"-ის კორესპონდენტი ასე ასწერს ამ მნიშვნელოვან ფორტის აღებას: „13 ნოემბერს ბრძოლის შემდეგ ჩრდილოეთ კიკვანშანის ქვეშ გვირაბის თხრა დაიწყეს. უმთავრეს გვირაბის თხრა ფორტის უმთავრეს თხრილიდან დაიწყეს და ჩრდილოეთ ბრუსტვერისაკენ (გალავნისაკენ) წაიყვანეს; გვირაბს ოთხი შტო დაატანეს. 5 დეკემბერს დილით გვირაბი 40 ფუტის მანძილზე იყო გაყვანილი და დინამიტის ნალმების ჩაწყობას შეუდგნენ ბრუსტერის დასანგრევად, რომ შტურმის მიმტან რაზმებს ფორტის შიგნით შესვლა შესძლებოდათ. მარცხენა დივიზიის (მე-11 დივიზიის) უფროსმა გენერალმა ჯარის კაცები გამოიწვია და ჰკითხა, ვისა გსურთ ან ფორტი აიღოთ, ან თავი დასდოთ,—გამოდითო. ორი ბატალიონი ჯარი გავიდა, ერთი მარცხენა დივიზიიდან, მეორე უმთავრეს რეზერვიდან (მარქაფა ჯარიდან). პირველი ბატალიონი კაპონირის გვირაბში (სადაც კაპონირებია გამართული ზარბაზნებითა და ტყვიის მტორცნელებით) იდგა, მეორე ფორტის კონტრ-ესკარპის (თხრილის გარე კედელი) ახლო გამართულ ტრანშეებში. რადგან ჯარის-კაცების შავი მუნდირები ძლიერ ერჩეოდა და შორიდან სჩანდა, რაზმს სხვა, მიწის ფერი ტანისამოსი ჩააცვეს. ყველას ყომრალი მატყლის შალვრები ჩააცვეს, ამავე ფერის ფუფაის პერანგები მუხლებამდე და შინლები. თავზე ყომრალი ფერი მატყლის ქუდები დაჰხურეს; ეს ქუდები ყურებსა და ყელსაც უფარავდნენ ჯარის-კაცებს, ასე რომ მხოლოდ სახე-ღა უჩანდათ. ყველას თოფის გარდა, ხელით სასროლი დინამიტის ყუმბარა ეჭირა და პატრონტაშზე ცეცხლმოკიდებული პატრუქი ჰქონდა ყუმბარის ფითილისმოსაკიდებლად. კაპონირის გვირაბში რომ ჯარის-კაცები იდგნენ, მარცხენა მკლავზე თეთრი ნიშანი ჰქონდათ გაკეთებული, სარეზერვო ბატალიონს, ტრანშეებში რომ იდგა,—წითელი ნიშანი ჰქონდა. პირველად ის ბატალიონი უნდა წასულიყო შტურმით, კაპონირის გვირაბში რომ იდგა, სარეზერვო ბატალიონი მეორედ უნდა წასულიყო.

პირველად ნაშუადღევს 2 საათზე აფეთქეს ნაღმები. პირველმა ნაღმმა უცებ იფეთქა. მეტად ღრმად იყო ჩადებული და ამიტომ ბრუსტვერი არც თუ ძლიერ დაანგრია. ამის შემდეგ ჯერ ძველმა ნაღმმა იფეთქა და მერე ოთხმა ნაღმმა. მიწისა და ყოველნაირ ნანგრევების უზარმაზარი სვეტი ჰაერში ავარდა 200 ფუტის სიმაღლეზე (თითქმის 28 საჟენის სიმაღლეზე); როცა ეს სვეტი ისევ ძირს დაეცა, თოვლი ირგვლივ ნახევარ ვერსის მანძილზე მიწამ, ხის ნამტვრევებმა და კლდის ნანგრევებმა დაჰფარეს. უმთავრესი გალავანი ორ ადგილას დაინგრა, ფორტს კარები გაუკეთდა და იაპონელები წინ გაქანდნენ, ისე ჩქარა და მედგრად გაქანდნენ, რომ 50-მდე კაცი კლდის ნანგრევმა ზოგი მოჰკლა და ზოგი დასჭრა. იაპონელები მაინც შეცვივდნენ ფორტში. რუსები მიწით გატენილ ტომრებს ამოეფარნენ ფორტის უკანა მხარეს და იაპონელებს მედგრად დაუხვდნენ. მიწით გატენილ ტომრების გალავანს უკან 4 საველე ზარბაზანი და 3 ტყვიის მტყორცნელი ეწყო... ამ დროს რუსებს სამალავით 300 კაცი მოეშველათ. იაპონელების მეორე ბატალიონი მალე ვერ მიჰყვა პირველ ბატალიონს, რადგან ის ტრანშეები, სადაც მეორე ბატალიონი იდგა, სულ მიწით გაივსო. როცა მიწის ზვავი გასწმინდეს, მეორე ბატალიონი თხრილში ჩავიდა და იქიდან განგრეულ გალავანზე ფორტში შეცვივდა. ბატალიონის უფროსმა იფიქრა, იქნება ყველანი ჯგუფად რომ მივიდეთ, შტურმი ისევ მარცხით გათავდესო და ბრძანება გასცა, ორ-ორი, სამ-სამი წადით და ყუმბარისაგან ამოთხრილ ორმოებში დაიმალენითო. საღამოს ხუთ საათზე 150-მდე კაცი ამნაირ თხრილებს ამოეფარა. იაპონელები ფრთხილად გადადიოდნენ ერთის საფრიდან მეორეში, და თან და თან უახლოვდებოდნენ რუსების უკანა სიმაგრეს. ბნელოდა და თუმცა რუსები ყოველნაირად ეცადნენ, მაინც იაპონელებს უკანა სიმაგრეებთან მისვლა ვერ დაუშალეს. საღამოს 8 საათზე იაპონელებმა იერიში მიიტანეს მიწით გატენილ ტომრების გალავანზე; პირველად ვერას გახდნენ, მაგრამ იაპონელებს იერიში იერიშზე მიჰქონდათ შუა ღამემდე და ბოლოს რუსები ფორტიდან სულ განდევნეს. („ნ. ვ.").

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

24 დეკემბერი

ტოკიო, 24 დეკემბერი („რეიტერი"). გენერალმა სტესელმა პატიოსანი სიტყვა მისცა იაპონელებს, ჯერ იაპონიაში ნაგასაკს წავიდეს და მერე რუსეთში დაბრუნდეს.

საზღვაო დეპარტამენტი იუწყება, რომ იაპონელებმა პორტ-არტურში ჩასძირეს რუსის სანაღმო კრეისერები „გაიდამაკი" და „ვსადნიკი", აგრეთვე სამი კონტრ-ნაღმიანი გემი. კრეისერი „ბაიანი", ძალიან დაზიანებული, აღმოსავლეთ რეიდის სამხრეთ ნაპირზეა. „ბობრი" სულ ერთიან დაიწვა იაპონელთა ყუმბარებისაგან.

ბერლინი, 24 დეკემბერი. გერმანიის წითელ ჯვრის საზოგადოებათა კომიტეტმა წინადადება მისცა რუსის წითელ ჯვარს გაჰგზავნოს პორტ-არტურში გერმანიის საავადმყოფო, რომელიც ეხლა ბაიკალის იქითა მხარეს არის.

ლონდონი, 24 დეკემბერი. ნოგის ჯარში მყოფი „რეიტერის სააგენტოს" კორესპონდენტი იუწყება, რომ 23 დეკემბერს, დილის 11 საათზე, სოფელ შუიშიში ერთმანეთი ინახულეს სტესსელმა და ნოგიმაო. ნოგი და სტესსელი შუადღისას უნდა შეხვედრილიყვნენ, მაგრამ რაღაც მიზეზით სტესსელი მივიდა დანიშნულ ადგილას 10 საათსა და 30 წუთზე. სტესსელს დაჰხვდა იაპონელი პორუჩიკი. გენერალი ჩინელის სახლში იცდიდა ნოგისა და იმის შტაბის მოსვლამდე. გენერლები ერთმანეთს ოთახში შეჰხვდნენ, მიესალმნენ და დიდ ხანს ილაპარაკეს. გამოსვლისას ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს, მერე სტესსელი შეჯდა ცხენზე და პორტ-არტურს წავიდა.

კიევი, 24 დეკემბერი. სამხედრო მინისტრის ბრძანებით, ნება დართულია მიღებულ იქნას სამასი თავისუფალი მეომარი 18—40 წლისა. მიღება დანიშნულია სამხედრო უფროსის სასამართლოში 30 დეკემბრისათვის.

მუკდენი, 24 დეკემბერი (საკუთ. კორესპ.). იმ მოხალისეთა რაზმებს, რომელთაც სოფელი სინფუნტუნი აიღეს, უფროსობდა პოდპოლკოვნიკი ტავსიანსკი. პოდპორუჩიკი ბარონი ფრედერიქსი მსუბუქად დაიჭრა და ჯარშივე დარჩა.

მინსკი, 24 დეკემბერი. გუბერნიის საერობო კომიტეტმა, რომელიც დახმარებას უწევს სამსახურში გაწვეულ სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახებს, დაადგინა: იშუამდგომლოს, მიეცეს მინსკის გუბერნიის საერობო გამგეობებს უსარგებლო სესხი და მიენდოს სამაზრო გამგეობებს გამორკვევა იმისა, თუ რა დახმარებაა საჭირო. ამისთვის არჩეულ იქნენ რწმუნებულნი.

მუკდენი, 25 დეკემბერი. (საკუთარ კორესპ.) პოზიციებზე სიწყნარეა. გუშინ დილით ცენტრში პუტილოვის გორის წინ გაძლიერებული ზარბაზნის სროლა იყო. სროლა შესწყდა. ჯარი კარგს გუნებაზეა, სანიტარული მდგომარეობა მშვენიერია; ყველგან შობის ხე გამართეს, შობა დღეს ყველგან წირვას იხდიან.

ლონდონი, 24 დეკემბერი („რეიტერი"). იაპონიამ უარ-ჰყო ინგლისის დახმარება პორტ-არტურისათვის.

პარიზი, („ჰავასი"). 24 დეკემბერს მოვიდა ვიცე-ადმირალი დუბასოვი, რომელიც კაზნაკოვის მაგიერად რუსეთის წარმომადგენლადაა დანიშნული გულის ინციდენტის გამო შეკრებილ კონფერენციაში.

პორტ-არტური, 23 დეკემბერი („რეიტერი"). სტესელმა სთხოვა ნოგის, ჩემგან საჩუქრად მიიღე ის მშვენიერი მატარებელი ცხენი, თქვენ რომ მოგეწონათო; ნოგიმ უარი თქვა, როგორც საკუთარ საჩუქარს არ მივიღებო და იაპონიის არმიის სახელით მიიღო სტესელის სახსოვრად.

ტოკიო, („რეიტერი"). სარწმუნო წყაროდან იუწყებიან, რომ პორტ-არტურში სახადი და სხვა გადამდები სენი მძვინვარებსო.

პეტერბურგი, გენერალ-ლეიტენანტ სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 24 დეკემბერს 1904 წელს: „23 დეკემბერს მდინარე ხუნხეს მარჯვენა ნაპირას სოფ. კუდიაზასთან, სოფ. სიფონტაიდან 9 ვერსტის მანძილზე, ჩრდილოეთით, იაპონელების მზვერავი რაზმი დაიჭირეს. იაპონელების რაზმი ერთის აფიცრისა და 5 სალდათისაგან შესდგებოდა. შეტაკების დროს აფიცერი და ერთი სალდათი მოჰკლეს, 4 იაპონელები დრაგუნი 6 ცხენით ტყვედ დაიჭირეს. იმავე დღეს დაბრუნდა კორნეტ მაასის მზვერავი რაზმი, რომელმაც 19 დეკემბერს პორუჩიკ ლევშანოვსკისა და ხორუნჟის გრუნიჩევის მზვერავ რაზმებთან ერთად რკინის გზის ლიანდაგი გააფუჭა ხაიჩენთან, მერე ნიუ-ჩუანისაკენ გაემართა და ნიუჩუანის მიდამოებში იაპონელების საველე ტელეგრაფი გააფუჭა".

25 დეკემბერი

პორტ-არტური, 24 დეკემბერი. „რეიტერის სააგენტოს" კორესპონდენტი, იაპონიის არმიასთან მყოფი, იუწყება, მხოლოდ 80 რუსის აფიცერმა მისცა სიტყვა, რომ იაპონელების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობას არ მივიღებთო. რუსის ჯარი მთლად გამოვიდა ციხიდან და დღეს დალნიში მიდის. იაპონელების რაზმი გუშინ ქალაქში შევიდა წესიერების დასაცველად. პორტ-არტურის კერძო ხალხს ნება მიეცათ, თუ უნდათ, პორტ-არტურში დარჩნენ, თუ არ უნდათ, წავიდნენ. იაპონელი მატროსები ნავთ-სადგურიდან ნაღმების ამოღებას განაგრძობენ; იაპონიის ჩაძირულ გემებსაც აშორებენ ნაღ-

მებს. ყველა ფორტში იაპონელები ჩადგნენ.

პორტ-ლუისი, 24 დეკემბერი („რეიტ."). კრეისერი „ჟემჩუგი" დღეს ზღვაში გავიდა ქვა-ნახშირით დატვირთული. არ იციან, რა დანიშნულება აქვს ამ კრეისერს. 15 ნოემბერს თოფ ქვეშ დაყენებული მეცხოვრე ჯარი ჯერ კიდევ თოფ ქვეშა დგას. ფორტების გარშემო ეკლიან მავთულის ღობეები გამართული; ციხის სხვა სიმაგრეებზეც გახურებული მუშაობაა. ხმა დადის, იაპონიის ესკადრა ოთხი კვირაა, რაც წმიდა მავრიკის კუნძულს გარშემო დადის. ხმა დადის, ბალტიის ესკადრამ ამ კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთით გაიარა და მადაგასკარის ერთ-ერთ ჩრდილოეთ პორტისაკენ გაემართაო.

ოკუს არმიიდან, 24 დეკემბერი („რეიტერი"). უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში რუსები მძლავრად უშენენ ზარბაზნებს იაპონიის პოზიციებს. პორტ-არტურის აღების შემდეგ ორი დღის განმავლობაში თითქმის არც ერთხელ არ უსროლიათ. რუსებმა დიდი ზარბაზნები დადგეს პოზიციაზე. ამ ჟამად თითქმის განუწყვეტლივ ზარბაზნების სროლაა. საზოგადოდ საქმის ვითარება არ შეცვლილა. არაფერი არ მოასწავებს, რომ რუსები წინსვლას აპირებდნენ. იაპონელები ელექტრონის პროჟექტორებით სარგებლობენ.

ნიუ-იორკი, 24 დეკემბერი („რეიტერი"). აქაური გემთა პატრონები ფიქრობენ, რომ ნიქსონის მიერ აშენებული 9 ნაღმიანი გემი დაშალეს და ისე გაჰგზავნეს რუსეთის ერთ ნავთსადგურშიო.

შანხაი, 24 დეკემბერი („რეიტერი"). გუშინ შუინშიინში ორივე გენერალი შეხვდა ერთმანეთს; სტესსელმა ქებით მოიხსენია იაპონელების მამაცობა და მადლობა გამოუცხადა ნოგის თავაზიანობისა და ყურადღებისათვის. ნოგიმ უთხრა, ომში ჩემი ორი შვილი დავკარგეო. სტესსელმა ალერსით უპასუხა: ისინი სასახელონი არიან იაპონიის არმიისათვის.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან".

24 დეკემბერი.

ნიუ-იორკი, 24 დეკემბერი. რუსეთისათვის აშენებულმა ნაღმიანმა გემმა „გრიგორი"-მ გაიარა სანდიჩუკი და ევროპის წყლებში მიდის. ჰფიქრობენ, რომ იგი რუსეთში გაემგზავრა და მთელ გზას თავის ხარჯით გაივლის. გემზე გაზოლინის მანქანებია.

ომსკი, 24 დეკემბერი. მოვიდა მისი უდიდებულესობის ამალის გენერალ-მაიორი თავადი ობოლენსკი, უმაღლესის ბრძანებით გამოგზავნილი, რათა გაიცნოს ადგილობრივ, როგორ არის მოწყობილი ავადმყოფებისა და დაჭრილების გზავნა ირკუტსკიდან ევროპის რუსეთში. თავადმა დაათვალიერა [illegible] და საევაკუაციო პუნქტები და სავადმყოფოები.

პარიზი, 24 დეკემბერი. რადგან ხმა გავრცელდა, ბალტიის ესკადრა ბრუნდება იმის გამო, რომ მეზღვაურების მცირე რიცხვი ჰყავს და გაუწვრთნელებიც არიანო, კაპიტანმა კლადომ გამოუცხადა პარიზელ ჟურნალისტს, ესკადრას მეზღვაურთა საკმაო რიცხვი ჰყავს, საკმაო მოწყობილება და ნახშირი აქვსო, რასაც ამტკიცებს ესკადრის მნიშვნელოვანი მგზავრობა კრონშტატიდან მადაგასკარამდე; ამიტომ გაუგებარია, რა მიზეზით შეიძლება დაბრუნოს ბალტიის ესკადრაო.

ბერლინი, 24 დეკემბერი. „ლოკალ ანცაიგერ"-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან, სასებოდან პორტ-არტურს წავიდა რამდენიმე ასი იაპონელი სპეციალისტი კონტრ-ადმირალის უფროსობით, რათა გასწმინდონ ნაღმებისაგან ნავთ-სადგური და ახლო-მახლო წყლები.

ტიანძინი, 24 დეკემბერი. სიმართლეს მოკლებულია ევროპის გაზეთებში გავრცელებული ხმა, თითქო მანჯურიაში, იაპონელთა თანხმობით, დაენიშნოთ სამი ძიანძიუნის მაგიერ ერთი გენერალ-გუბერნატორი. ამ დანიშვნის პროექტი ლიხუნგ-ჩანგის დროიდან არის შედგენილი; ჩანჩჟიდუნი და იუანშიკაი ამ პროექტის მომხრენი არიან, მაგრამ იგი ჯერ-ჯერობით განსახილველი რჩება და პეკინს არავითარი კანონი არ გამოუცია ამ საკითხის შესახებ. მანჯურიაში ჩინელ გენერალ-გუბერნატორის დანიშნვა სრულებით შესცვლის იქ არსებულ ადმინისტრატიულ წესწყობილებას და შესაძლებელია საქმე გაამწვავოს, ამიტომ რუსეთისათვის ეს დანიშნვა არა სასურველიაო.

25 დეკემბერი

ტოკიო, 24 დეკემბერი. პორტ-არტურელ ტყვეების ჩაბარება 23 დეკემბერს დაიწყეს იაპონელებმა. დილიში 5451 სალდათი და 186 აფიცერი მოვიდა იაპონიაში გასაგზავნად; ამ აფიცრებში 86 კაცს პატიოსანი სიტყვა აქვს მიცემული, ეხლანდელ ომში მონაწილეობას აღარ მივიღებო. იმავე დღეს ციხიდან მეორე პარტიაც გავიდა— 5 ათასი აფიცერი და კერძო პირები, რომლებიც ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ. ესენი ნაგასაკში წავლენ და იქიდან სამშობლოში გაიგზავნებიან. პარლამენტმა დაამტკიცა ადრესი, რომელშიაც იმპერატორს მადლობას უცხადებენ სახელმწიფო საქმეებისა გამო მუდმივ მზრუნველობისათვის, ყველა სამხედრო გამარჯვებას იმპერატორის ქველობას აწერენ და აცხადებენ, რომ ომი დასრულდაო. შემდეგ ადრესში ნათქვამია, რომ ხალხი შეურყევლად ერთგულია იმპერატორისა და მზადაა, ყოველი ღონისძიება მიიღოს იმპერატორის ნების ასასრულებლად. ამავე დროს პარლამენტმა რეზოლიუცია მიიღო და ერის სახელით მადლობა გამოუცხადა გენ. ნოგის არმიას ფიცისადმი ერთგულებისა და უმაგალითო მამაცობისა და ფლოტის დახმარებით პორტ-არტურის აღებისათვის.

ჩიფუ, 24 დეკემბერი. პირველი გემს პორტ-არტურელ მცხოვრებლებით ელოდნენ დღეს ნაშუადღევის ორ საათზე, მაგრამ ხუთის ნახევრამდე გემი არ მოსულა.

ჩანსიამუტუნი, 24 დეკემბერი. მეზღვაური, რომელიც 2 დეკემბერს გამოსულა პორტ-არტურიდან, ამბობს, რომ პორტ-არტურს რამდენიმე თვის განმავლობაში კავშირი არ ჰქონია გარეშე ქვეყანასთან. ჩინელები ეუბნებოდნენ ალყა-შემორტყმულებს, რომ მანჯურიის ჯარის კოლონებმა მოუარეს იაპონელებსო და ეს იყო, რომ დახსნის იმედს იძლეოდა. უშიშარი ადგილი ქალაქში არ ყოფილა; ყუმბარა ყველგან სწვდებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ქალაქის ცხოვრება ჩვეულებრივად მიდიოდა. სურსათიდან მხოლოდ ფქვილი და ცხენის ხორცი იყო, რის გამო ძლიერ ვრცელდებოდა სურავანდი. ჯავშნიანი გემები ჯერ კიდევ 28 ივლისს ძლიერ დაზიანდნენ და თითქმის სრულიად უვარგისნი იყვნენ. რაც პატარა ზარბაზნები ჰქონდათ, ციხის დასაცველად გადასცეს. ნაწილი ნაღმიან ნავებისა და კანონირებისა დაუზიანებელი იყო, ზოგი ნაღმებს წააწყდა. მთელი ალყის დროს არც ერთი გემი არ შესულა პორტ-არტურში სასროლ მასალით დატვირთული. 20 დეკემბერს ღამე იაპონელების პოზიციებზე, მანჯურიის ჯარის პირდაპირ, დღესასწაული იყო, ისმოდა მუსიკა, სიმღერა, „ბანზაი"-ს ძახილი. როცა ჩვენი ჯარები სროლით გასცემდა პასუხს, ხმაურობა მიწყნარდებოდა, და ისევ დაიწყებოდა, როგორც კი სროლა შესწყდებოდა.

ხუანშანი, 21 დეკემბერი. ღამე 21 დეკემბერს მოხალისეებმა განდევნეს იაპონელების პოსტი დასავლეთ ვოიტოშანიდან და დასწვეს ეს სოფელი. 21 დეკემბერს დღისით მოხალისეებმა ორჯელ განდევნეს თოფის სროლით იაპონელების ორი როტა.

ჩანსიამუტუნი, 25 დეკემბერი. ღამის 10 საათი და 5 წუთი. ოფიციოზური გაზეთი ტოკიოში „ნიჩი-ნიჩი-შიმბუნ" ანგარიშობს, რომ იაპონელებს ომის დაწყებიდან ნოემბრის ბოლომდე მოუკლეს მანჯურიასა და პორტ-არტურში 43,000, რუსებს კი 18.000 გარნიზონის გარდა. აქ ყურადღება მიაქციეს იმას, რომ პარლამენტის გავლენიანი პარტია სეიუკაი—იტოს პარტია—შეეკითხა მთავრობას, რად არ არის მიღებული ენერგიული ღონისძიება სახალინის წინააღმდეგ, როცა ასე ადვილია კუნძულის ხელში ჩაგდებაო.

ხუანშანი, 24 დეკემბერი, ღამის 11 საათზე. 20 დეკემბერს ჩვენმა მოხალისეებმა დაზვერეს ტაიძიხეს ხეობა. იაპონელებმა შენიშნეს და გაიქცნენ. ჩვენებმა სროლა დაუწყეს. იაპონელთა უმრავლესობა დახოცეს. ჩვენმა მოხალისეებმა ხელთ ჩაიგდეს რამდენიმე თოფი და უზარალოდ წამოვიდნენ. 22 დეკემბერს იაპონელთა არტილერია ყუმბარებს ესროდა ერდაგოუს სიმაღლეს, ჩვენი არტილერია-კი—იაპონელების სამუშაოებს. იმავე დღეს მიძში ჩვენ ყაზახებს სროლა დაუწყო იაპონელთა ქვეითა ჯარმა. ყაზახებს დაუჭრეს 5. როდესაც მაშველი ჯარი მივიდა, ჩვენებმა იაპონელები განდევნეს.

ხუანშანი, 22 დეკემბერი, ღამის 11 საათ. 19 დეკემბერს ჩვენი არტილერია ყუმბარებს უშენდა იაპონელებს სოფელ ტაილუნტუნის მახლობლად, აგრეთვე სოფელს, რომელიც იაპონელებს ეჭირათ სამლოცველოიან გორას იქით. იმავე დღეს საღამოთი ჩვენმა არტილერიამ სროლა დაუწყო სოფელს ვოიტოშანის დასავლეთით. საპერებმა დაიჭირეს სოფელი და ააფეთქეს რამდენიმე სახლი. დღისით თბილა.

სახეტუნი, 23 დეკემბერი, დილის 10 ს. 54 წ. გუშინ იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს ჩვენ მარცხენა ფრთას. ჩვენმა ბატარეებმა ხმა გასცეს და მტერს სროლა შეაწყვეტინეს. ღამე იაპონელები ანათებდნენ პროჟექტორებით ჩვენს პოზიციებს, აწუხებდნენ მზვერავებით ჩვენს სადარაჯოებს. ჯარის ფრონტზე სიწყნარეა.

ბერლინი, 25 დეკემბერი. მუკდენიდან დეპეშით ატყობინებენ „ლოკალ ანცაიგერ"-ს: ოიამამ წერილით შეატყობინა კუროპატკინს პორტ-არტურის დამორჩილების ამბავი და განკვირვება გამოაცხადა პორტ-არტურის დამცველთა სიმამაცისა გამო. გათენების ხანს ძლიერი ზარბაზნის სროლა იყო რკინის გზის ახლო.

სახეტუნი, 24 დეკემბერი. მეორე არმიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა. გუშინ მარჯვენა ფრთაზე ჩვენმა არტილერიამ ზარბაზანი დაუშინა იაპონელების ბატარეებს. ზამთარი ხელს უწყობს სამხედრო მოქმედებას; თოვლი არაა, გზები მშვენიერია, დღისით თბილა. პოზიციებზე მიწურებში ცხოვრებას არა უჭირს რა; თუმცა პორტ-არტურზე ცუდი ხმები დადის, ჯარი მაინც კარგ გუნებაზე.

ჩიფუ, 25 დეკემბერი. იაპონელები ნებას არ აძლევენ უცხოელებს პორტ-არტურში მისვლა-მოსვლისას. არაფერი არ იციან, რას უზამენ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა წიგნებსა და დოკუმენტებს. პორტ-არტურიდან გემს ყოველ წამს ელიან. ღონისძიებაა მიღებული პორტ-არტურის მცხოვრებლების დასაბინავებლად.

ტოკიო, 25 დეკემბერი. მთავრობის წრეები გადაჭრით უარ-ჰყოფენ იმ აზრს, ვითომ კვანტუნის ნახევარ-კუნძული და პორტ-არტური მანჯურიის განუყოფელ ნაწილად უნდა ითვლებოდეს და მანჯურიასთან ერთად ჩინეთს უნდა გადაეცეს. აქ ჰფიქრობენ, რომ რუსეთის გავლენას ჩინეთის ბურჯის—პორტ-არტურის აღება და ლიაოიანამდე ადგილების დაჭერა იაპონიას ნებას აძლევენ, რუსეთის მიერ იჯარით აღებულ ადგილების მფლობელობაში შევიდეს და ეს გარემოება ჩინეთის სამფლობელოს მთლიანობას სულაც არ ეწინააღმდეგება.

ლონდონი, 25 დეკემბერი. „დეილი მეილს" დეპეშით ატყობინებენ (24 დეკ.) პორტ-ლუიდან, რომ ინგლისის კრეისერი სამჯერ შემოვიდა აქ, მიიღო ნახშირი და სადღაც წავიდაო. მეცხოვრეთა მობილიზაცია მოხდა 15 ნოემბერს. ყველა ფორტის გარშემო მჩხვლეტავ მავთულებს და სხვა დასაცველ მოწყობილებებს მართავენ. ინგლისის ესკადრა ოთხი კვირაა წმ. მავრიკის კუნძულთან მოძრაობს. ყოველ დღე ტელეფონით მოლაპარაკებაა ნაპირიდან სამხედრო გემებთან. დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალ-ყურს ბალტიის ესკადრის მსვლელობას.

ტოკიო, 25 დეკემბერი. გერმანიამ უზრუნველ-ჰყო რუსის იმ სამხედრო გემების იარაღის აყრა, რომელიც კიაო-ჩაოში არიან. ზღვაში წავიდნენ იაპონიის ის გემები, რომელნიც ნავთ-სადგურს თვალ-ყურს ადევნებდნენ.

სახეტუნი, 24 დეკემბერი, ღამის 10 ს. 25 წ. მანჯურიის ჯარის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა. ზოგიერთ მოწინავე პოზიციებზე გუშინ უმნიშვნელო სროლა იყო. მარჯვენა ფრთაზე სოფელ ფუდასიანიდან ჩვენ მოწინავე პოზიციებში მოვიდა ოთხი იაპონელი საპარლამენტო დროშით. ამ იაპონელებმა ჩვენებს გადასცეს ბოხჩა და წერილი. ბოხჩაში აღმოჩნდა პაპიროსები და ერთი ბოთლი არაყი; წერილით იაპონელები შობის დღესასწაულს ულოცავდნენ რუსებს. ჯარი ემზადება დღესასწაულისათვის. ყველანი მოულოდნელად მოელიან რუსეთიდან სადღესასწაულო საჩუქრებს. დიდი ვაჭრობა ჰქონდა პეტერბურგის საკონომო საზოგადოების სამგზავრო განყოფილებას. მთელი საათობით ელოდნენ ჯერს.

ტოკიო, 23 დეკემბერი („ცენტ. ნიუს"). პორტ-არტურის ტყვეებს უთუოდ ოსაკასა, ჩაროშიმსა, მოჯსა და ფუკოკაში დააბინავებენ. ტყვე-იაპონელი პორტ-არტურში 105-ია. აქედან 45 ჯანმრთელია.

ტოკიო, 25 დეკემბერი. გამოქვეყნებულია იაპონიის იმპერატორის რესკრიპტი ნოგისა და ტოგოს სახელობაზე. რესკრიპტში იმპერატორი გულწრფელ მადლობას უცხადებს ორივეს პორტ-არტურის წინააღმდეგ თანხმობით მოქმედებისათვის, რომლის შედეგი იყო შორეულ აღმოსავლეთში რუსებისათვის ფრიად მნიშვნელოვან ციხის აღება.

ბერლინი, 25 დეკემბერი. „ტაგებლატ"-ის თანამშრომელი ესაუბრა ჩინეთის ელჩს იმის შესახებ, თუ რა გავლენას იქონიებს პორტ-არტურის აღება იაპონელების მოქმედებაზე ჩინეთში. ელჩმა განაცხადა, ომის ამბები ხელს შეუწყობს ჩინეთში რეფორმების მომხრეებს, რადგან ნათლად ამტკიცებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო წეს-წყობილების განახლებასაო.

ტოკიო, 25 დეკემბერი („ცენტრალ-ნიუს"-ი). პორტ-არტურიდან ხუთშაბათს და პარასკევს გაგზავნილ რუსის ტყვეების რიცხვი: 16,658 სალდათი და 500 აფიცერი და სამოქალაქო უწყების მოხელე, რომელთა შორის 237 კაცმა პატიოსანი სიტყვა მისცა იაპონელებს, რომ ომში აღარ მიიღებენ მონაწილეობას.

ტოკიო, 25 დეკემბერი. ვიცე-ადმირალი შიბაიამა, კურეს ციხის უფროსი, დაინიშნა პორტ-არტურის კომენდანტად. იმის შტაბის უფროსად დაინიშნა კაპიტანი ტამორი. ერთმა გემთა საზოგადოებამ წესიერი მიმოსვლა გამართა იაპონიასა და პორტ-არტურს შუა. გემები ორ კვირაში ერთჯერ გაემგზავრებიან პორტ-არტურიდან.

შანჰაი, 25 დეკემბერი. მეფის მოადგილე ჩან-ჯი-დუნი და ტელეგრაფის მინისტრი შენი თავის ქარხნებიდან თუჯს ჰგზავნიან იაპონიაში. ეს ქარხნები, ეჭვი არ არის, სახაზინოა; ამას გარდა ჩინეთის ნეიტრალიტეტი იმითაც ირღვევა, რომ თუჯს ჩინეთის უმაღლესი მოხელენი უგზავნიან იაპონიას. ფორმოზაზე მოძრაობა დაიწყო. მიზეზი—იაპონელთა მიერ შემოღებული გადასახადებია. იაპონელები იძულებულნი არიან ზოგიერთი ზომები მიიღონ ამ მოძრაობის წინააღმდეგ.

პარიზი, 25 დეკემბერი. 27 დეკემბრისათვის დანიშნულია გულის შემთხვევის გამომძიებელ კომისიის სხდომა. მინისტრმა დელკასემ მიიღო დღეს კომისიის ორი ახალი წევრი: რუსის დელეგატი ვიცე-ადმირალი დუბასოვი და ავსტრ-ჰუნგრეთის დელეგატი—ადმირალი შპაუნი.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

26 დეკემბერი

პეტერბურგი. 50 წლის სამსახურისა გამო უმაღლესად ებოძა რესკრიპტთან ბრილიანტის ნიშნები წმ. ალექსანდრე ნეველისა სახელმწიფო საბჭოს წევრს პეტრე საბუროვს. უმაღლესად ებრძანათ: ოდესის გრადონაჩალნიკის თანამდებობის აღმასრულებელს ნეიდგარდტს ოდესის გრადონაჩალნიკად იყოს; ვიატკის გუბერნატორს ხომუტოვს—კაზანის გუბერნატორად იყოს, გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელთ: ორიოლის გუბერნიისა ბალისინს—ორიოლის გუბერნატორად იყოს, ვორონეჟისა ანდრეევსკის ვორონეჟის გუბერნატორად იყოს, პენზისა სერგეი ხვოსტოვს—პენზის გუბერნატორად იყოს; ჩერნიგოვისა ალექსეი ხვოსტოვს—ჩერნიგოვის გუბერნატორად;—ტვერის გუბერნიის საერობო გამგეობის თავმჯდომარე ზასიადკოს—სამარის გუბერნატორად იყოს და ლევშინს—ვიატკის გუბერნატორად. უმაღლესად ებოძათ ორდენები: თეთრის არწივისა ხმლით—გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოოზ ფონ ნიდერმილერს, თეთრის არწივისა — ნიჟეგოროდის გუბერნატორს გენერალ-ლეიტენანტ უნტერბერგს; წმ. ვლადიმირისა მე-3 ხარისხისა ქუთაისის გუბერნატორს გენერალ-მაიორს სმაგინს; წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხისა პეტროკოვის ვიცე-გუბერნატორს პოლკოვნიკ რეინბოტს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 21 დეკემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ.	93,80
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,32½
ლონდონისაზე ჩეკები	94,45
ბერლინისაზე "	46,30
პარიზისაზე "	—
ბირჟის დისკონტი	6,7½%
4% სახელმწიფო რენტა	—
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	89
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	87¾
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	418½
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	314¾
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	263
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	89¾
4½% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	226

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევობით) ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუაღღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში,
   ღია არის დილით 10—2 საათ
   " " საღამ. 5—7 "
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 "
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   " " საღამ. 5—9 "
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   " " საღამ. 5—8 "

განცხადებანი

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1905 ГОДЪ
НА АРМЯНСКУЮ ГАЗЕТУ
„МШАКЪ"
(тридцать третій годъ изданія)

Въ 1905 году „МШАКЪ", газета политическая и литературная, какъ и въ прошлые годы, будетъ издаваться въ Тифлисѣ, по прежней программѣ.

Подписная цѣна съ пересылкою и доставкою: на годъ 10 рублей; на 11 мѣсяцевъ также 10 рублей: на 10 мѣсяцевъ—9 рублей; на 9 мѣсяцевъ—8 руб.; на 8 мѣсяцевъ—7 рублей; 7 и 6 мѣс.—6 р.; на 5 мѣс.—5 руб.; на 4 мѣсяца—4 руб.; на 3 мѣсяца—3 руб; на 2 мѣсяца—2 р.; на одинъ мѣсяцъ—1 рубль. Годовая плата для европ. госуд. 30 франковъ, Америки 6 долларовъ, Персіи 10 рублей.

Подписка и объявленія принимаются въ Тифлисѣ, въ конторѣ редакціи (уголъ Баронской и Базарн. ул.).

Объявленія принимаются на армянскомъ, русскомъ и иностранныхъ языкахъ. Цѣна за объявленія—2 коп. со слова или 10 коп. со строки.

Адресъ для всей имперіи: Тифлисъ, редакція „МШАКЪ".

Адресъ для заграничныхъ подписчиковъ: Tiflis, Rédaction du journal arménien „Mschak". (5—1)

Доз. цен. Тифлисъ, 26 декабря 1904 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.